



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 429
30/08/2019

429-02-4-201908301805



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი, დანართში მითითებულ ვაკანტურ პოზიციებზე.
2. კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისია.
3. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
4. ბრძანების შესახებ ეცნობოს მე-3 პუნქტში მითითებულ მეორად სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.№4).

გიორგი ერბოწონაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია